სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

29314977230521

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N210869782

რეგისტრაციის თარიღი

16.08.2021 წ

ნოტარიუსი: ლუიზა უმიკაშვილი
მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი #61, პირველი სართული
ტელეფონი: 2 34 59 16

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას ოცდაერთი წლის თექვსმეტ აგვისტოს მე, ნოტარიუსს ლუიზა უმიკაშვილს ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი №61, პირველი სართული, მომმართა **ბატონმა იგორი ათაბაგმა**, რომელმაც განაცხადა, რომ არის შპს „ბელმარტი"-ს (ს/კ 404601640, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, მ. ბროსეს ქუჩა, №8ბ) დირექტორი და სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება.

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად

იგორი ათაბაგმა (დაბადებული 18.06.1970წ. თბილისში, პირადი №01017020599, ბარათის №18IB00653, გაცემული 09.08.2018წ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ, მოქმედების ვადა 09.08.2028წ. მისამართი: თბილისი, მ. ბროსეს ქუჩა, №8ბ) მომმართა.

მე შევამოწმე შპს „ბელმარტი"-ს დირექტორის იგორი ათაბაგის უფლებამოსილება შპს „ბელმარტი"-ს ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან (ამობეჭდილი ვებ გვერდის www.public.reestri.gov.ge მეშვეობით, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B20074396, 21/09/2020 18:25:34, საიდენტიფიკაციო კოდი 404601640).

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. მე, ნოტარიუსმა ლუიზა უმიკაშვილმა, წინამდებარე მინდობილობა წავუკითხე მას და განვუმარტე მისი შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან წაიკითხა მინდობილობა და მოიწონა იგი, რის შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას ოცდაერთი წლის თექვსმეტ აგვისტოს მე, **იგორი ათაბაგი**, როგორც შპს „ბელმარტი"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი 404601640) დირექტორი, რომელიც შემდგომში წოდებულია „მიმნდობი",

ნიკოლოზ გოცირიძეს (დაბადებული 19.07.1993წ. თბილისში, პირადი №01005036943, მისამართი: თბილისი, დიღმის მასივი, V კვარტალი, კორპუსი 16, ბინა 20), რომელიც შემდგომში წოდებულია „მინდობილი პირი",

უფლებას ვაძლევ წარმოადგინოს შპს „ბელმარტი"-ს ინტერესები ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო და ადმინისტრაციულ ორგანოებთან და დაწესებულებებთან მიმართებაში, აგრეთვე იყოს შპს „ბელმარტი"-ს წარმომადგენელი სს „საქართველოს ბანკ"-ში, სს „თიბისი ბანკ"-ში, საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ ნებისმიერ ბანკში და მათ ფილიალებში, გახსნას, მართოს და განკარგოს შპს „ბელმარტი"-ს სახელზე გახსნილი ნებისმიერი ანგარიშები, აწარმოოს ყველა სახის საბანკო ოპერაციები სავალუტო და სალარე ანგარიშებზე, მიიღოს ნებისმიერი სახის საბანკო მომსახურეობა, გამოიტანოს და შეიტანოს ნებისმიერი თანხა მიუხედავად მისი ოდენობისა, აწარმოოს გადარიცხვები, განაღდება, კონვერტაცია, მოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია, მიიღოს ცნობა ანგარიშზე თანხის შესახებ, საბანკო ამონაწერი, ისარგებლოს მობილ ბანკით და ინტერნეტ ბანკინგით, შეცვალოს და აღადგინოს ინტერნეტ ბანკინგის პაროლი, დახუროს ან გააუქმოს ანგარიში, საჭიროების შემთხვევაში გახსნას (დახუროს) შპს „ბელმარტი"-ს სახელზე ახალი ანგარიში საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ ნებისმიერ ბანკში, შემდგომში მართოს და განკარგოს, შეუკვეთოს და მიიღოს შპს „ბელმარტი"-ს სახელზე ნებისმიერი სახის საბანკო პლასტიკური ბარათი, იყოს შპს „ბელმარტი"-ს წარმომადგენელი საქართველოს იუსტიციის სახლში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სამეწარმეო რეესტრში, სანოტარო ბიუროში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში და მის სტრუქტურულ ქვეგანაყოფებში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, რათა შეასრულოს სასაქონლო ოპერაციები და სხვა კომპეტენტურ ორგანოებში, შეიტანოს განცხადებები, მოახდინოს ელექტრონული ვერსიით დეკლარირება,

მიიღოს პაროლი, მიიღოს საგადასახადო ანგარიშ – ფაქტურები, შედარების აქტები, ცნობები, ამონაწერი, მიღება – ჩაბარების აქტები და სხვა დოკუმენტები, ხელი მოაწეროს დეკლარაციაში კორექტირებულ ღირებულებას, მოახდინოს ზედნადების გამოწერა, სალარო აპარატის შეცვლა, გადაფორმება, გამოყენება, სალარო აპარატის დაზიანების შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეკეთება და გამოტანა, დაამზადებინოს და გამოიტანოს ფირმის ბეჭედი, ასევე იყოს შპს „ბელმარტი"-ს წარმომადგენელი გაფორმების ეკონომიკურ ზონაში – პორტალში და ნებისმიერ საბაჟოზე ტვირთის გაგზავნასთან, მიღებასთან, განბაჟებასთან და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით, მიიღოს შპს „ბელმარტი"-ს სახელზე გამოგზავნილი ამანათები, აწარმოოს მოლაპარაკებები მესამე პირებთან, გააფორმოს კონტრაქტები, დადოს ხელშეკრულებები, დადოს კანონით ნებადართული სხვა გარიგებები, აგრეთვე შეასრულოს შეუზღუდავათ ყველა ის უფლება-მოვალეობები, რომლებიც მინიჭებული აქვს **დირექტორს წესდებით**, საჭიროების შემთხვევაში მოაწეროს ხელი შპს „ბელმარტი"-ს სახელით შესაბამის დოკუმენტებს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება და ფორმალობა, რაც დაკავშირებულია ამ დავალებების შესასრულებლად.

მინდობილობა გაცემულია ექვსი თვის ვადით და ძალაშია ორი ათას ოცდაორი წლის თექვსმეტი თებერვლის ჩათვლით.

მინდობილ პირს უფლება არა აქვს თავისი შეხედულებისამებრ აღნიშნული მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილება მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს სხვა პირებს.
მიმნდობი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ეს მინდობილობა, რისთვისაც საჭიროა ამ გარიგების სანოტარო წესით გაუქმება; გაუქმების შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე **ნიკოლოზ ბოცირიძე** ვალდებულია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ამ დავალებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედების შესრულება და ამ მინდობილობის მის ხელთ არსებული ეგზემპლიარი დაუბრუნოს მიმნდობს.

მინდობილობა შედგენილია **ოთხ** თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ლუიზა უმიკაშვილის სანოტარო არქივში, ხოლო სამი - გადაეცა მხარეს.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: **10.00 ლარი** და რეგისტრაციის საფასური **2.00 ლარი**, „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის **2011 წლის 29 დეკემბრის №507** დადგენილების **31.7-ე მუხლის** და **39-ე მუხლის** საფუძველზე.

შპს „ბელმარტი"-ს დირექტორი

იგორი ათაბაგი

ნოტარიუსი **ლუიზა უმიკაშვილი**

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B20074396, 21/09/2020 18:25:34

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ბელმარტი
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	404601640
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	21/09/2020
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რ-ნი, მ.ბროსეს ქ. N 8ბ

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა:	atabag70@gmail.com
ტელეფონი:	593204057

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - იგორი ათაბაგი, 01017020599

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
იგორი ათაბაგი, 01017020599	100%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის